

სასოფლო გაზეთი

გაზეთის ფასი:

თველი	წელიწადი	ფასი
1 მ.	1 მ.	50 კ.
3 მ.	3 მ.	1 მ.
6 მ.	6 მ.	2 მ.
9 მ.	9 მ.	3 მ.
12 მ.	12 მ.	4 მ.

გაზეთის ფასები

გაზეთის ფასები

სასოფლო გაზეთის მიხედვით:

თბილისის „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, თ. ბებუთაძის სახლში, პოლიციის გვერდით. თბილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ ТИФЛИСѢ, ВЪ КОНТОРУ РЕДАКЦІИ „СѢЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, ПРИ ТИПОГРАФІИ МЕЛИКОВА И К-О.

შველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიჭება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება თბილისში, მელიქიშვილის და კაპ. სტამბაში.

№ 11. შაბათი. II. 14 ივნისს 1869 წ.

სასოფლო გაზეთის მიღება

სამეცნიერო ნაწილი.

ამოღების, ანუ მცოდნის ვარსკვლავი.

276

მიღება თბილისში „სასოფლო გაზეთის“ კანტორაში, მელიქიშვილის და სტამბაში. თბილისში და გარეშე ადგილებში — 3 მან. — შველგაზეთად — 4 — სასოფლო სასამართლოებისათვის — 5 —

შველ კაცს უნახავს, რასაკვირველია, ბევრჯერ თავის სიცოცხლეში ცაზე მფრინავი ცეცხლის ბურთები და ჰაერიდგან მცვინავი ვარსკვლავები. ჩვენში ამისთანა მოვლინება ისე ხშირია, რომ ყველა შენიშნა იმას. ზეციური ქვების ცვენა ისე ხშირად ხდება ხოლმე და იმდენი მაგალითებია წიგნებში აწერილი, რომ ეხლა არ შეიძლება ამ ზეციური ქვების ცვენაზედ ვინმე ეჭვთაობა.

შინაარსი:

შინაარსი ცნობები.—პროლოგიები.—შინაარსის უფლის პურის მალაზიები.—სამეურნეო ცნობები.—ბარტმანის საქმე.—საექიმო ცნობები.—ქალის შესახებ ახალი ამბები.—სტატისტიკური ცნობები.—ლექსი.—მანცხადება.

შ. ხითაროვი იწერება „ქავაში“ ბორიდან მაისის 24-ს: „დღეს აქ გაიხსნა სახლო-სნო სასწავლებელი უფლის სასწავლებლის სადგომში. ამ დროს იყო აქ უფლის ნაი-ლნიკი, ქალაქის დეპუტატები და მრავალი პუბლიკა.“

წარსულ საუკუნის დასასრულში თითქმის სწავლულთაგან არ სჯეროდათ ჰაერიდგან ქვის ჩამოვარდნა; ისინი არაკადრაცხდნენ ამ გვარ მოთხრობებს და არც იმას უჯერებდნენ, ვისაც თვალთა ჰქონდა ნახული ამ ნაირი მოვლინებები; მაგრამ თან და თან ეჭვი-დამ უნდა გამოსულიყვნენ, რადგან თვითონაც დარწმუნდნენ ამ მოვლინების სინამდვილეში. ამ ეჭვიანობას ბოლო მოუდო უ. ბიომი, რომელმანც 1803-ს წელში სრულიად შეისწავლა ყოველი გარემოება ამ მოვლინებისა, იმ შემთხვევით, რომ შრანციაში ერთ ადგილს იმის თვალის წინ ჩამოცვივდა ქვები.

შინაარსი ცნობები.

შინაარსი ცნობები.—პროლოგიები.—შინაარსის უფლის პურის მალაზიები.—სამეურნეო ცნობები.—ბარტმანის საქმე.—საექიმო ცნობები.—ქალის შესახებ ახალი ამბები.—სტატისტიკური ცნობები.—ლექსი.—მანცხადება.

„ჯერ პირველში ყმაწვილები ამ სასწავლებელში ისწავლიან მეხუთის კეთებას, ხარტობას და წიგნების ყლის კეთებას, და მერე ხარტობასაც დაიწყებენ. რაღა ღაპრაკი უნდა, რომ ეს სასწავლებელი ძალიან სასარგებლო არის,—რომ თვალთ დასანახავი სარგებლობის გარდა, ეს სასწავლებელი პედაგოგიური მხრითაც კარგი იქნება.“

„მერე გაეჩუმდებით იმაზე, რომ აქაურმა მასწავლებლების უფროსმა დიდა მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში. მკვი არ არის, რომ აქაური მოქალაქეებიც მიიღებენ მონაწილეობას და ამ სასწავლებელს შესწირვენ ფულს, რადგანაც ჯერ იმას საკმაო საშუალება არა აქვს წარმატებისათვის; ეს ამიტომ უფრო საიმედოა, რომ სასწავლებელში სულ ბორის მოქალაქეების შეილები არიან.“

ამ შემთხვევას უ. ბიომი აი როგორ მოგვითხრობს: „26-ს აპრილს 1803 წ. ნაშუადღევს პირველ საათზე, როდესაც ცა მოწმენდილი იყო, ალანსონის გარშემო ადგილებიდან ცხადად ჩნდა ნათლად ელვარე ცეცხლის ბურთი, რომელიც ჰაერში ძალიან ჩქარა მოფრია-



ნავდა. სოტა ხანს შემდეგ მგლის ქალაქის გარეშემო, ოთხმოც ვერსის სივრცეზე, ექვსის მინუტის განშავლობაში ისმოდა საშიშარი ხმა, როგორც ნაღმის გავარდნისაგან ისმის ხოლმე.—ჴერ პირველად ისმოდა როგორც ზარბაზნის ხმა, მერე თოფის ხმას მიემზგავსა და ბოლოს დაფის მაგრად დაკვრას მიემზგავსა. შველა ეს ხმები ისმოდა პატარა ღრუბლის ნაჭერიდგან. ის ღრუბელი, ამ ხმის დროს ისევ ისე იყო გაჩერებული ერთ ადგილას; მხოლოდ ის ორთქლი, რომლიდგანაც იყო შემდგარი ღრუბელი, თან და თან იფანტებოდა სხვა და სხვა მხარეს. ეს ღრუბელი ვერს ნახევარზე იყო მოშორებული იმ ქალაქიდან და ძრიელ მალა იყო გაჩერებული ჰაერში, ასე რომ გარშემო მცხოვრებლები, თუმცა შორ შორ იყვნენ ერთი მეორეზე, მაგრამ მაინც ყველა უყურებდა ამ ბუნების მოვლენას; როდესაც ეს ღრუბელი იდგა, იქ მთელს მაზრის მცხოვრებლებს ესმოდათ იმ ნაირი ხმა თითქო რაღაც უსტვენსო და კიდევ ხედავდნენ, რომ ზემოდგან ცვივოდა მაგარი ქვის მზგავსი რაღაც.

ბევრმა მცხოვრებლებმა, როგორც მოგვითხრობს ბიო, თავიანთის თვალთ ნახეს, რომ ქვა ცვივოდა ერთს ბაღში. მართა დედაკაცმა და ორმა იმისმა შეილებმა ნახეს, რომ ჩამოვარდა ჰაერიდგან დიდი ქვა და ჩამოამტვრია მათი თვალის წინ ხის ტოტი. მართს იმ ყმაწვილთაგანს უნდოდა რო აედო ის ქვა და, როცა მივარდა ასაღებად, ნახა რომ ეს ზეციური ქვა დედა-მიწაში ჩამჯდარიყო; მაშინ დაუძახა თავის ძმას—ბარი მოიტანეო; სანამ მეორე ძმა ბარს მოიტანდა ჩამოვარდა კიდევ ზეციდან პატარა ქვა და დაეცა იქვე ბავშვის ფეხთან; შეშინებულმა გააგლო ბარი ხელიდამ და გაიქცა.

მართი სანდო მოხუცებული კაცი აი რას ამბობს კიდევ ამავე შემთხვევაზე: „ჩვენ ვხედავდით ჩვენი თვალთ—როგორ ცვივოდნენ ქვები ზეციდან; ერთი ზევიდან ჩამოვარდნილი ქვა ტბასთან დავარდა და დაფთხო ქათმები და სხვა ფრინველები, რომლებიც იქ იყვნენ; ზოგი სახლის სახურავზე ცვიოდა და იქიდან მიწაზედ ვარდებოდაო.“—სხვებიც ბევრნი არიან, რომელთაც უნახავთ საკუთარის თვალთ ქვების ჩამოცვივნა; ამ ზეციურს ქვებს სახლებიც ბევრჯელ დაუქცევია ხოლმე და ხშირად ცეცხლიც გაუჩენია, რადგანაც

ისინი ძალიან გახურებულნი ვარდებიან ძირს.—ამას გარდა ამ ზეციურ ქვებს კაცებიც ხშირად მოუკიდეს ხოლმე, როცა დასცემია.

აეროლოგებს გარდა, ბევრს ადგილას ნახეს ხოლმე იმისთანა თვისებაების ქვები; რომელნიც თუიანთი ნიშნებით გვიმტკიცებენ, რომ უთუოდ ციდან ჩამოცვივნილი უნდა იყვნენ. ზოგიერთი იმათგანი ძრიელ დიდრონები არიან და საფიქრებელია, რომ ისინი ჩამოცვივნილან ზეციდან რამდენიმე ათასი წლის წინათ. მართა მოგზაურთაგანმა—პალასმა თავის მოგზაურობის დროს, ნახა სიმბირში ერთი დიდი რინის ლოდი, რომელსაც იქაური ოსმალები დიდის ხნით რაცხდნენ ზეციდან ჩამოვარდნილ წმინდა ქვათ. ამ ლოდის სიმძიმე გამოვიდა 1600 გირვანქა და ეხლა პეტერბურლის სამეცნიერო აკადემიაშია.

ჩვენ ზემოთა ვსთქვით, რომ მგლის მახლობლად ჯერ გამოჩნდა ცეცხლის ბურთები და მერე აეროლიტები ჩამოცვივნდა, ანუ აეროლიტის ჩამოცვივნას წინაუძღოდა ცეცხლის ბურთებს გამოჩენა. მაგრამ ყოველთვის ეგრე არ მოდებდა ეს ხოლმე; ხშირად ცეცხლის ბურთის გამოჩენის დროს არ ჩამოცვივდება აეროლიტი. შურო ხშირად ქუხილივით გაჰქროლაოც ხოლმე, ამისთანა, ძაოლოც ცეცხლის ბურთის გამოჩენას უაეროლიტოდ ეძახიან ბოლიდს.

სახე, ფორმა ცეცხლის ბურთების, ანუ ბოლიდებისა არის უფრო ხშირად რგვალი ბურთივით, თუმცა ხანდისხან მოგრძობებიც გამოჩნდებიან ხოლმე. შერად თეთრია, მტრედის ფერი სხივებით, მაგრამ ხშირად ყვითელი, მწვანე და ლურჯ ფერებთან შერეული ფერისაც გამოჩნდება ხოლმე. ნაპერწკლები გაბრწყინებულის სახით უცბათ შორდება ბოლიდებს და მიფრინავენ სხვა და სხვა მხარეს და ამ მოშორების დროს გზაზე ნათლად გამოსახვენ გრძელს ხაზს, ანუ ნაპერწკლიან ბოლოს ხან მოდრეკილად, ხან დაგრეხილი გველის ტანივით და ხან სწორედ; ისინი თავისი ფრენით გვიჩვენებენ გზას, რომელიც გაიარა ბოლიდმა. ხანდისხან ბოლიდის ბოლო გამოჩნდება თუ არა, იმავე წამს ისევ დაიკარგება და მერე ისევ გამოჩნდება, მაგრამ მაშინ სხვა სახეს მიიღებს და სხვაგან გამოჩნდება; ხანდისხან როგორც გამოჩნდება, ისევ ისე დარჩება, არა ცვლილებას არ მიიღებს.

შურო ხშირად ბოლიდები გამოჩნდება ცა-

ზე თითო თითოდ, ხანდისხან ერთ ერთად ზოგჯერ გროვაც; მაგრამ ეს უცხვენს ცნებებივითადად მოხდება. მართხელ 12-ს ქრისტიანობის თვეს 1830-ში საქსონიაში, მახლობლად ბელიგენშტადის ქალაქისა გამოჩნდლამე ერთად ორმოცამდის ბოლიდები. ისინი მიჰქროდნენ ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ დიდის ხმაურობით, თითქო რაღაც სტვენსო და რამოდენჯერმე ეგვარადინებოდნენ ეგრემეორეს და ბოლოს ვარდებოდნენ; ჩამოვარდნის დროს ცის-სარტყელის ფერს იჭერდნენ.

სწავლულებმა ბევრჯელ მოინდომეს, როგავგოთ სიშორე და სიმსწრაფლე იმ ბოლიდებისა, რომელნიც მალა ჰაერში დაფრინდნენ. მაგრამ სხვა და სხვა ძნელი პირობებში გამო ნამდვილად ვერ გაიგეს ჯერ ესა; ამისთვის არ შეგვიძლია რწმუნება მივსცეთ რიცხვებს, რომელსაც გვიჩვენებენ ზოგი ერთი სწავლულები; ერთი სწავლულის—პტამოანგარიშებით ბოლიდი გადის ერთს წამს ორი ათასი მეტრიდან—სამოცდა ათი ათასმდინ *); მაშასადამე აქედანა სჩანს, რომ ხანდის ხან მიწის და სხვა პლანეტების მახლობლაზე უფრო ჩქარა ის მავალობს. მართი ჩქარი მოძრაობა რო ვიქონიოც სახეში, ჩვენ შეგვიძლია მაშინ ავხსნათ ბოლიტების ანთება; მავალობის დროს ბოლიტი ეხებება ჰაერის ნაწილებს და ამ ხელოამოისობით (როგორც ჯოხი რო ჯოხით და ხანს ხეხო გაჩნდება ცეცხლი) ხურდებდა ცეცხლი ენთება. ბოლიდები, იმავე ვასკვლავთ მრიცხველის გამოკვლევით, არიან ხანდისხან მიწიდან 540 ვერსის სიმაღლეზე.

ნამდვილი სიგანე ბოლიდებისა პტის გამოკვლევით, არის 2,000, 3,000 და თითქმის 4,000 მეტრიც, ე. ი. 2, 3, და 4 ვერსამდ პტის გამოკვლევისაც რო არ დაუჯერო მოვიგონოთ, ამერიკაში ჩამოვარდნილი ქვები, რომლებიც სიმძიმით 20,000 და 30,000 გირვანქას იწონდა და სხ. მაშასადამე ყოველს შემთხვევაში შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ზოგი აეროლიტები ძალიან დიდრონი არიან.—

შველაზე უფრო ახლო კავშირი ბოლიდთაქვს მცვიანეს ვარსკვლავებს, რომელთაც ყველა ძრიელ კარგათ ვიცნობერთის შეხედვით. ბოლიდებსავით მცვი-

*) მეტრი ფრანცუზების სიგძის ზომაა, ჩვენებურ არშის და ორ ნახევარ ვერშოკს ედარება.



არსკვლავებსაც უკან მისდევს ნათელი ხაზი, როგორც მცენინავე ვარსკვლავის ნახვა შეიძლება თითქმის ყოველს მოწმენდილ ღამეს. — მართი დრო არის წელიწადში, როდესაც განსაკუთრებით ბევრი ჩნდება და კარგათაც დაინახება ისინი. მს მარიაშობის თვეში; ამ თვეში ისინი ძალიან ხშირად და ბევრიც სცვივიან. — შევლათ, რაც რომ ესთქვით ბოლოდღებზე; მოძრაობის სიჩქარე, სიმაღლე, სიანის ზომა და გამაჩენის დრო, ყველა მს სრულად მიეწერება მცენინავე ვარსკვლავებსაც. — ამას გარდა მცენინავე ვარსკვლავები ხანდისხან, როგორც ბოლოდღები, გამაჩნდებიან ერთად ბევრი, თითქო ვარსკვლავების ჯგუფი არისო.

პრც ერთ თვეში არ ჩნდება ხოლმე ერთად მდენი მცენინავე ვარსკვლავები, რამდენიც მარიაშობის თვეში. ხანგრძლივმა დაკვირვებამ დაუშკიკა სწავლულებს, რომ უფრო ბევრი ვარსკვლავები სცვივიან, მაშინ როდესაც დედამიწა თავის მავლობის დრო ერთს, დანიშნულს ღამეს მიაწევს. შენიშნეს რომ ხანდისხან გიგანტობის თვეშიაც სცვივიან ხოლმე ბევრი ვარსკვლავები, მაგრამ ეს უფრო იშვიათი შეთხვევაა. — მართს გიგანტობის თვეს ღამეში 832 წელსა დიუსელდორფში ძუსტოდიმასთავალა 217 მცენინავე ვარსკვლავი. ამავ დამეს მეორე სწავლულმა რომბერტმა მავრიის კუნძულიდან დაინახა მრავალი ვარსკვლავი, რომელნიც სცვივოდნენ მაშხალასათით ზოგი ერთს მხარესაკენ და ზოგი მეორეს ხარესაკენ. —

სწავლულების გამოკვლევით აეროლოტები მისთანა ნაწილებიდან არის შემდგარი, რომლებიც დედა-მიწაზედაც იპოვებიან; მაგალითად ზოგი აეროლიტი, ანუ ზეციური ქვა, თითქმის წმინდა რკინაა; ზოგში ურევია, კაჟი, თიხა და კირის ქვა. მარსკვლავთ მრიცხველები ამ ზეციური ქვების, ანუ ვარსკვლავების, ბოლოდღების და აეროლიტების მოვლენას მიწვევენ იმ რგოლებს, რომელნიც გარს აკვირებენ ზოგს ზეციურ პლანეტებს და რომელნიც გარშამო უვლიან მზეს; ეს რგოლები შემდგარნი არიან წვრილ — წვრილი აეროლიტებიდან, რომლებიც ხანდისხან მოშორდებიან ხოლმე თავის გზას და თუ რომელიმე პლანეტი დახვდა იქ — იმდროს ახლოს, ის პლანეტი მიიზიდავს აეროლიტს, რომელიც დაეცემა ზედ.

შკანასკნელად უნდა მივაქციოთ მკითხველების ყურადღება იმაზე, თუ რამდენი ჩამოცვივა რიცხვით მიწაზე აეროლიტები.

ცნობები მცენინავე ვარსკვლავებზე ყველა ქვეყნებიდან არა გვაქვს; ჩვენ გვაქვს შეკრებილი ცნობები ზეციურ ქვებზე მხოლოდ იმ ქვეყნებიდან, სადაც განათლება არის და განხირობულად სახლობს ხალხი, მაგალითად: ბერმანიიდან, შრანციიდან ანგლიიდან, ზოგი ერთი რუსეთის ადგილებიდან, იტალიიდან, ამერიკიდან და სხ.

სწავლულებისაგან გამოანგარიშებულია, რომ საშუალო რიცხვით ერთის წლის განმავლობაში 11,250 ფუთი აეროლიტის ქვები სცვივადედა-მიწაზე; ათას წელში მაშ ეს თერთმეტ მილიონს ფუთს შეადგენს. — შექვევლია, რომ ამ გარემოებისა გამო ჩვენი დედა-მიწა თანდათან მატობს და დიდდება. —

შორაპნის უზღვის საზოგადო პურის მალაზიები.

ჩვენს გაზეთში მკითხველი ხშირად წაიკითხავდა ხოლმე, რომ შეერთებული შრომა და ბევრი კაცების ერთად საქმის დაჭერა ძალიან სასარგებლოა კაცის ცხოვრების გაუმჯობესობისათვის. თუ კაცმა თავის ცხოვრება გაუმჯობესა, თუ იმას არ აკლია ის, რაც ყველაზე უფრო საჭიროა იმის სხეულისათვის, მაგალითად პური, ღვინო, საცმელი, სახურავი, კარგი სადგომი და სხვა, მაშინ, დარწმუნებული იყავით, რომ ის დაიწყებს ზრუნვას სულისათვისაც, ესე იგი, მაშინ შეუძლია იმას იფიქროს წიგნის სწავლაზე და თავის ჭკუის განათლებაზე. სარიელი კუჭის პატრონს რა ეწიგნება, შენი ჭირიმე? მაძღვე ჯერ და მეზე მიეცი წიგნი ხელში; მიშველს რა ეწიგნება? ჯერ ჩააცვი, შემოსე და მეზე ასწავლე. ასეა ღარიბი კაცის საქმე: ის პირველად იმას სცდილობს, რომ მშვიერი არ დარჩეს, ის მთელი წელიწადი შრომობს იმისთვის, რომ წლის სამყოფი ნამუშაური მოიყვანოს და იმით დაარჩინოს თავის თავიცა და თავის ცოლ-შვილიც. ამიტომაც ღარიბ ხალხში ძვირად იპოვება განათლებული და ჭკუა-გახსნილი კაცები. —

ისტორია გვეუბნება ჩვენ, რომ ყოველი ხალხი ასე ყოფილა: ჯერ თავის ყოფა-ცხოვრება გაუმჯობესებია, ცოტა სიმდიდრე შეუ-


ძენია და მეზე მოუკიდია წიგნისათვის; შემდეგ კი და დაუწყია ზრუნვა თავის ჭკუის განათლებისათვის.

რასაკვირველია, ჩვენ იმდროს კი არ უნდა უცდიდეთ, როცა გავმდიდრდებით, როცა ოქროები დაგვიწყებენ ჩხრიალს ჯიბეში. მს შორს იქნება... შოველი კეთილი და სასარგებლო საქმისათვის კაცმა ცოტა უნდა მოითმინოს, ცოტა უნდა გაიჭიროვოს, თუ უიმისობა არ შეიძლება: მაუდის ჩოხის, ან აბრეშუმის ახალუხის მაგივრად რომ უბრალო შალის ჩოხა და უბრალო ჩითის ახალუხი ჩაიცვათ — არაფერი არ იქნება; მაგრამ ჩვენი შვილი რომ უსწავლელი დავაგდოთ შინ-ისი ბევრს შეადგენს. — ისიც უნდა გვეკონდეს სახეში, რომ ყოველი სწავლა, რასაკვირველია, სარგებლობას მოუტანს თვით ცხდვრებაში კაცს, რადგანაც სწავლული უფრო მალე და უკეთაც მოძებნის ცხოვრების ღონისძიებას და საშუალებას. მართი სიტყვით ეს ორი საქმე — სწავლა და შეძლება ერთი მეორეზე და მოკიდებული: თუ კაცი განათლებულია ის უეჭველად მოიპოვებს ცხოვრების საშუალებას და თუ კაცი შეძლებულია, რასაკვირველია, იმას ადვილად შეუძლია განათლდეს და შეიღებოსაც მისცეს ჯეროვანი განათლება; ფულებს ყველაფერი შეუძლია.

ამიტომაც უნდა ვიყენეთ ჩვენ მაღლიერი იმ პირებისა, რომლებიც სცდილობენ ხალხის გამდიდრებას და მისი ცხოვრების გაუმჯობესებას.

ჩვენ შევიტყუეთ, რომ შორაპნის მახრაში (ზემო-იმერეთში) გახსნილია რამდენიმე საზოგადო პურის მალაზიები; ეს ძალიან შესანიშნავ საქმეთ მიგვაჩნია ჩვენ; ამიტომაც ეთხოვეთ შორაპნის მახრის მომრიგებელ მოშუამდგომლეს (მიროვი პოსრედნიკს) უ. ავალიანს — შეგვატყობინოს რამე ამ საქმეზე; ის იყო იმოდენათ კეთილი, რომ დაწერილებით გვაცნობა ამ საზოგადო პურის მალაზიების მდგომარეობა, რისთვისაც ჩვენ ძალიან ემადლობთ. მე ამოვეწერ რამდენიმე სიტყვას უ. ავალიანის წიგნიდან:

„მე არ მგონია, თუ ასე კარგათ წავიდოდა ჩვენში საზოგადო პურის მალაზიების საქმე. მღებკაცები ხელაშვერით ილოცებიან ამ საზოგადო კეთილის საქმის დაწესებისათვის. — მხლა არის დაწესებული იმისთანა საზოგადო მალაზიები წი რ ქ ვ ა ლ ი ს, დ არ კ ვ ე თ ი ს, ზ ე დ ა რ გ ნ ი ს, ს კ ი ნ დ ო რ ი ს და ძ ო რ ბ ო —



ულის სოფლის საზოგადოებში. ამათის მიხედვით დანაშთენი ჩემი განყოფილების სოფლის საზოგადოებებიც მსურველნი არიან დაწესონ თავიანთისაც წელს შემოდგომაზე ამისთანა მალაზიები“.

„მალაზია შედგა მით, რომ თვითოეულმა გლეხმა შეძლებისა მებრ შეიტანა პური, ანუ სიმინდი—არა ნაკლები ნახევარის და არა ნამეტანი ორი კოდისა (ჩვენი კოდი ორს რუსულ ფუტს აიწონის).—ამ ნაირი წესით უნდა ზილონ ნამუშევარი მალაზიაში ორისწლის განმავლობაში და მერე თვით მალაზია იწარმოებს. მალაზიიდან ეძლევათ პური და სიმინდი იმ გლეხებს, რომელნიც საჭიროებენ და რომელთაც, როცა შეძლება ექნებათ, უნდა დაუბრუნონ სესხი მალაზიას; წელიწადში ასზე ექვსი სარგებელია დადებული, ესე იგი, ასი კოდი მაგალითად თუ ვინმე ისესხა—ას ექვსი კოდი უნდა შეიტანოს მალაზიაში“.

„თუ მალაზიაში ნამუშევარი დარჩა, საზოგადოებას შეუძლია გაყიდოს ის და აღებული ფული მოიხმაროს რომელიმე საზოგადო, სასარგებლო საქმისთვის.“

„იმედი მაქვს, რომ ეს საქმე დიდს სარგებლობას მოუტანს ხალხს; რამდენიმე წლის შემდეგ, თუ რამე დამბრკოლებელი მიზეზი არ იქნა, რომელიც მე არა მგონია, გლეხი კაცი კიდევ უფრო იგრძნობს ამ საქმის სარგებლობას, მით რომ ეს მისცემს იმას საშუალებას გაუმჯობესოს მისი ყოფა-ცხოვრება და ოჯახობა“.

ღმერთმა ქნას, რომ ეს საქმე კარგად წავიდეს! თითქმის წინათვე შეგვიძლია ეთქვათ, რომ ამ მალაზიების საქმე კარგათ წავა რადგან თვალწინ ბევრი მაგალითები გვაქვს: მთელი ქვროპა, მთელი რუსეთი მოფენილია ამისთანა მალაზიებით; თითქმის ყოველს პატარა სოფელში არის პურის მალაზიები, ისე საჭიროდ მიაჩნათ ეს და თითქმის ყველგან კარგათ მიდის. ჩვენში კი რად არ უნდა წავიდეს კარგათ?—რასაკვირველია, ამნაირი საქმის კარგად წაყვანას ბევრი რამ უნდა: ერთი რომ მალაზიას პატროსანი, სინილისიანი კაცები უნდა უყურებდეს, რომ ნამუშევარი არ დაიკარგოს ტყუილ-უბრალოდ, ან არ წახდეს ცუდი სახლისგამო; მეორე ყველა საზოგადოების წევრმა თავის დროზე და სრულად უნდა შემოიტანოს თავის წილი პური, ან სიმინდი; მესამე—სესხი რიგიანად გარდაიხადონ და სხვა. მართი სიტყვით, თუ საზოგადოებამ კარგად ადგენა მალაზიის შემოსავალ-გასავალს თვალ-ყური, უეჭველია, რომ ის კარგათ წავა და ბევრს სარგებლობასაც მოიტანს.

მთველი ამ ნაირი საქმის წარმატება დამო-

კიდებულია ერთი დებულებაზე, რომლითაც ხელმძღვანელობენ საზოგადო საქმის წევრნი, მეორეთ იმაზე—თუ როგორ ასრულებენ ამ დებულებას. შეიძლება დაწყობილობა კარგი იყოს, მაგრამ ამსრულებლები კი ცუდნი; მაშინ საქმე კარგათ ვერ წავა; ისეც შეიძლება, რომ ცუდი დებულება იყოს, მაგრამ კარგათ კი ასრულებდნენ იმას; უეჭველია ვერც მაშინ წავა ხერხიანათ საქმე. რასაკვირველია, ყველას ის სჯობია, რომ რომელიმე საზოგადოებას საერთო საქმეში კარგი პირობები, დებულება ჰქონდეს და ბეჯითათაც ასრულებდნენ იმას. მე ამას იმიტომ ვამბობ, რომ ხშირად იმისთანა კაცები ჰკიდებენ ხელს რომელიმე კეთილს საქმეს, რომელთაც ამ საქმისა არაფერი არ ესმით და, როცა საქმე ვერ წავა კარგათ, ამბობენ, რომ ეს საქმე ჩვენში ვერ იხერხებო; მაშინ როდესაც მცოდნე და თავიანთ კაცს რომ მოეკიდა ამავე საქმისათვის ხელი, მაშინ ის უსათუოთ კარგათ წავიდოდა და სარგებლობასაც მოიტანდა. აგრეთვე, თუ რომელიმე საქმემ ვერ იხერხა ცუდი დაწყობილობის, დებულობის, გამო, მაშინაც იმას ამბობენ, რომ ეს საქმე ჩვენში ვერ გამოდგება. ამიტომაც ჩვენ ვისურვებთ, რომ ჩვენი საზოგადო პურის მალაზიების საქმეს კარგმა და თავიანთმა კაცებმა მოჰკიდოს ხელი და კარგი დაწყობილობა გამართონ, რომ თავიდანვე კარგათ წაიყვანონ საქმე.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სხვაგანაც მუთისის გუბერნიაში, ისე კარგათ წავა საქმე, როგორც უ. ავალიანის სიტყვით, შორაპნის მაზრაში მიდის. სასურველია რომ სხვა მომრიგებელ მოშუამდგომლებმაც მოკიდონ ამ სასარგებლო საქმეს ხელი და ამრიგათ თავის გაველენითა და ცოდნით მოეხმარონ საზოგადოების წარმატებას.—

ჩვენ მივაქცევთ იმ პირების ყურადღებას, რომლებზედაც არის დამოკიდებული საზოგადო მალაზიების დაწესება, შემდეგ საგნებზე:

1) ჩვენ გვგონია კარგი იქნება, სამალაზიო გარდასახადის დადების დროს რომ მიაქციონ ყურადღება იმას—თუ რამდენი დღიური, ან ქცევა სავარგისი მიწა აქვს იმას, ვისაც ადებენ სამალაზიო გარდასახადს და ამის დაგვირად გარდახდევინონ მალაზიის სასარგებლოდ ნამუშევარი; ესე იგი, ვისაც ბევრი ნოყიერი მიწა აქვს, იმან მომეტებულიც გარდაიხადოს და ვისაც ნაკლები,—იმან ნაკლებიც.—მინც

ბევრი შეიტანა, იმას მომეტებულიც შეუძლია გამოიტანოს საჭიროების დროს.

2) ღარიბებს, ობლებს და ქვრივებს, რომელთაც არ შეუძლიან წილის შეტანა მალაზიაში, საზოგადოება, შეძლებისა და გვირად, უნდა შეეწიოს და მისცეს მალაზიიდან უზღველად ნამუშევარი.

3) თუ რამდენიმე კაცი ერთად თხოულობს მალაზიიდან პურს, ან სიმინდს და თუ მალაზიაში ცოტა ნამუშევარი დარჩა, მაშინ კრება უნდა შესდგეს და უნდა გარდასწყვიტოს, რომელს უფრო სჭირია და იმას უნდა მისცეს შემწეობა.—

4) მგონია საზოგადოებისათვის სასარგებლო იქნება, რომ თავის წევრებს გარდა, სხვებსაც, ესე იგი, რომელთაც არა აქვთ მალაზიაში მონაწილეობა აძლიოს მალაზიიდან ნამუშევარი; მაგრამ იმათ მომეტებული სარგებელი უნდა გადახდევინოს; მაგალითად, თუ წევრი ექვს პროცენტს იხდის ასზე, იმათ შეიძლება, ან რვა გარდახდევინოს.—

5) ნამუშევრის მაგიერ, თუ ვისმე სურს, უნდა ქონდეს ნება, რომ ფულად შემოიტანოს მალაზიაში. შული იმდენი კი უნდა შეიტანოს, რამდენათაც გაიყიდება იმის წილი გარდასახადი.—

6) თუ მალაზიაში იმდენი პური, ან სიმინდია, რომ საჭიროებას გარდაემატება, საზოგადოების კრების გარდაწყვეტილებით, შეიძლება გაიყიდოს ეს მომეტებული.

7) ძალიან სასარგებლო იქნება, რომ იმ ფულებიდან, რაც მალაზიაში შემოვა პატარა ბანკი დაწესდეს. ამ ბანკით ისარგებლებს ყველა, ვისაც კი აქვს მალაზიაში მონაწილეობა და სხვებიც, თუ მომეტებული ფულები იქნა, უმეტესი სარგებლით. ამისთანა ბანკის დაწესება ყოველი პურის მალაზიასთან ძალიან დიდს სარგებლობას მოუტანს სოფლის ხალხს; მაგალითად რომელიმე გლეხს დასჭირდა ფული სახელმწიფო, ან საბატონო ხარჯის გადასახდელად; ის გამოიტანს მალაზიის ბანკიდან და გარდინდის; რასაკვირველია ამ ბანკმა ცოტა სარგებელი უნდა გარდახდევინოს მაშინ გლეხი აღარ წავა ვაჭართან, ან სხვისთანმე და ერთი ორად აღარ გარდინდის სესხს.

8) თუ საქმე კარგათ მიდის, შეიძლება მალაზიისა და ბანკის შემწეობით პატარა შკო-



ლა ც გაიმართოს სოფელში გლეხების შეი-
ლებისათვის.

აი რამდენი სიკეთე და სარგებლობა შეუ-
ძლია მოიტანოს ასე, ერთი შეხედვით, პატარა
საქმეს, თუ, როგორც ზევით ვსთქვი, ანგა-
რიშით და თავიანთ წაუძღვა იმას კაცი.—

ს. მ.

სამეურნეო ცნობები.

ბერმანიაში ერთმა გლეხის ძროხამ დაბა-
და ერთად ხუთი ცოცხალი ხბო; ორი იმათ-
განი სახარეა, და სამი საფურე; ოთ-
ხი ცოცხალი დარჩენ და კარგათ არიან; ერ-
თი კი მოკვდა; თითონ დედა—ძროხაც კარ-
გათ არის.—

საქსონიაში გამოსცადეს, რომ ამწვანებუ-
ლი იონჯა სწყენს პირუტყვს; ამის გამო ურ-
ჩევნ, რომ ყოველთვის ყველამ გამშრალი,
გამხმარი იონჯა ახმაროს საქონელს.

შენევაში იქაურ „პირუტყვების მფარველ
საზოგადოებას“ უნდა გამართოს გამოფე-
ნა ხელით—გაკეთებული ფრინვე-
ლების ბუდეებისა; ამას იმიტომ შე-
რებიან, რომ მოეხმარონ ბუხანკალის მჭამე-
ლი ფრინველების გამრავლებას.—მს ფრინვე-
ლები ისე სასარგებლო არიან, რომ საქსო-
ნიაში მეოჯახეები განგებ უკეთებენ ბუდე-
ებს ხეებზე ამისთანა პატარა ფრინველებს,
რომ გამრავლდნ ისინი.—

ბარტმანის საქმე

მრთს რეინის მაზრაში, თითქმის ფრანკიის
სამზღვარზე, იდგა წისქვილი, რომელიც ეკუ-
თვნოდა ერთ მდიდარ მეწისქვილეს—ზორსტს.
მეწისქვილეს ჰყავდა ორს ქალი: ჰენრიეტა და
მარტინა; ორნივე დანიშნულები იყვნენ:
პირველს ირთავდა ერთი ყმაწვილი ტყის ზე-
დახედველი ფრანკუში და მეორეს-ფილო-
სოფის დოქტორი ბარტმანი.—აი რა რიგათ
გაიცნო მარტინამ ბარტმანი:

ბარტმანი იყო ღარიბი მუშის შვილი; იმან
ისე მშვენიერათ გაათავა სწავლა ერთს პრუ-
სიის უნივერსიტეტში, რომ გავზავნეს სა-


ხელმწიფო ხარჯით აღმოსავლეთის მხარეებში
იქაური ენების სასწავლებლად. იმას უნდა გა-
ველო სოფ. მლტენში, სადაც ერთს იმისს
ძველს ამხანავს ზოლოს ჰქონდა საწვრიმა-
ლო ღუქანი, ბარტმანი შევიდა ღუქანში
ზოლოს სანახავად. ამ დროს ზოლო იყო
ავათ და ვერა ვაჭრობდა; ამის გამო, რასა-
კვირეელია, იმას ბევრი ზიანი მოსდიოდა;
ბარტმანმა იკისრა თავის ამხანავის მაგიერათ
ღუქანში ჯდომა და ვაჭრობა. სოფელში ახა-
ლის პირის გამოჩენამ შესძრა მცხოვრებლები.
ყოველ დღე მოდიოდა ღუქანში აუარებელი
ხალხი უფრო ბარტმანის სანახავად, ვიდრე
რისამე სასყიდლოთ. მომსვლელებთ შორის
იყო მეწისქვილე ზორსტის ქალიც—მარტინა,
რომელსაც უკან დასდევდა იმ დროს
ერთი ცუდი ყოფაქცევისა და ზნის კაცი—
შოდე. მარტინას ღუქანში გახშირებულმა
ვიზიტებმა აუნთო შოდეს გულში შური, ასე
რომ ერთხელ უდარაჯა მიფარებულ ადგილს
ბარტმანსა და კარგა გეარინად გალახა თავის
დიდი ჯოხით. მს საქმე მოხდა წისქვილის მა-
ხლობლად; ბარტმანი, გრძობა დაკარგული,
შეიყვანეს წისქვილში, სადაც რამდენიმე კვი-
რა მოუხდა წოლა. ამდენი ხნის ერთად ყო-
ფნამ ისე დაახლოვა და შეაყვარა ერთმანეთი
ბარტმანი და მარტინა, რომ მორჩა თუ
არა ბარტმანი იმ წამსვე დანიშნა მარტინა-
ნაზე. შემდეგ ბარტმანი წავიდა აღმოსავლე-
თის მხრებში ენების სასწავლებლად; ერთი
წლის შემდეგ უნდა დაბრუნებულიყო და ჯვა-
რი დაეწერა მარტინანაზე.—

ბარტმანის მოშორებამ არ შეუმცირა მარ-
ტინას სიყვარული, მით უმეტეს რომ ნა-
ხევარი წლის განმავლობაში იმას ხშირად მო-
სდიოდა თავის მიჯნურისაგან ნაზი, სიყვარუ-
ლის წიგნები. ნახევარი წლის შემდეგ ბარტ-
მანის წიგნები უეცრად შესწყდა. ამ საქმით
ისარგებლა მარტინას მამამ, რომელიც დი-
დის კმაყოფილებით არ აძლევდა ქალს ვილა-
ცა გამოუჩენდეს და ღარიბს სწავლულს. მარ-
ტინას თხოულობდა ბარონი ბაუმგარტი,
იქაური სუდის პროკურორი, რომელიც თუმი-
ცა მოხუცებული კაცი იყო, მაგრამ დიდი
ადგილი ეჭირა, ბევრი ნათესაობა ჰყავდა დიდ-
კაცებში და იმ მაზრაში დიდი გავლენაც
ჰქონდა. ზორსტმა არ მიჰხედა არც იმას, რომ
მარტინა უარს ამბობდა, არც იმას, რომ

ბარტმანს პირობა ქონდა მიცემული; იმან
დანიშნა ქორწილის დღე და საათი.

დანიშნულ დროზე ბაუმგარტი მოვიდა სო-
ფელ მლტენში; შეიქმნა მზადება. მეწისქვი-
ლე წავიდა თავის ქალის სტუმრებთან გამო-
საყვანად. მარტინამ უკანასკნელად სთხო-
ვა მამას—ნუ მომიკლავ სიყმაწვილეს, ნუ მა-
ძლევ ბაუმგარტსაო, მაგრამ მამა თავისას ამ-
ბობდა; მაშინ იმან მშვიდობიანი და მტკიცე
სიტყვებით უთხრა მამას „შენ წადი, მე ჩაეი-
ცვამ და ეხლავ გამოვალ ზალაში სტუმრებ-
თან“.—ზორსტი დაბრუნდა ზალაში. სტუმ-
რები ჰკითხავენ-პატარაძალი რა იქნა, რატო
არ გამოდისო? ზორსტი ეუბნება ეხლავ გა-
მოვარ; მაგრამ დრო მიდის და მარტინა კი
არ გამოდის; შერცხვენილი ზორსტი მიდის
ქალის ოთახში მარტინას გამოსაყვანად; მა-
გრამ იქ არაფერ არ უხედება, ეძებს სხვა ოთა-
ხებში—არსად არა სჩანს, ყვირის, უძახის მო-
სამსახურეებს, ყველას ატყობინებს, რომ მარ-
ტინა დაიკარგაო. მაგრამ ვერც ყვირილი-
თა და ვერც ძებნით ვერა გააწყვეს რა: ქალი
არსად არა სჩანს. რასაკვირეელია შინაურები
და სტუმრებიც ძალიან შეწუხდნენ; სახლში
როცა ვეღარ მონახეს, დაიწყეს ახლო-მახლო
ადგილებში ძებნა; ბოლოს ბევრი ძებნის შე-
მდეგ ხშირ ტყეში ნახეს ერთი საშინლად გა-
ფუჭებული და დაჭრილი ქალის მძოვრი. თეი-
თონ ზორსტმა, მის მოსამსახურეებმა და ყვე-
ლა მლტენის მცხოვრებლებმა, ერთი სიტყ-
ვით ყველამ, ვისაც კი უნახავს სიცოცხლეში
მარტინა, ამ მძოვრში ის გამოიცნეს.—

პროკურორი ბაუმგარტი იმ წამსვე შეუდ-
გა ადგილის დათვლიერებას; თვით მკვდარის
მახლობლად ნახეს კვალი მკვლელისა, მაგრამ
იმის დაზომვა არ შეიძლებოდა, რადგან ის
ადგილი ხავსით იყო მოფენილი; აქვე ნახეს
იარალი, რომლითაც უნდა მოეკლათ მარტინა.
ამაებით ძნელი შესატყობი იყო-ან თუ
ვინ იყო მკვლელი, ან რისთვის მოჰკლეს.
მამომძიებლები იყვნენ დიდ გაჭირებაში: იმათ
არა ჰქონდათ არც ერთი ნიშანი, არც ერთი
მიზეზი, რომ ვისთვისმე დაებრალდებინათ ეს
მკვლელობა; ხალხი გაჩუმებული იყო; მამა-
საც ეჭვი არაფერზე არა ჰქონდა. უეცრად ერ-
თმა მეწისქვილის მოჯამაგირის ჩვენებამ გა-
ანათლა ეს ბნელი საქმე; ამ მოწამემ აჩვენა:
„იმ საღამოს, კაცის მკვლელობა რომ მოხდა,
იმ დროს როცა სტუმრები მოვლოდნენ მარ-



ნესტინას გამოხელას, ზორსტმა გამგზავნა მრ-
ნესტინას გამოხაყვანად; კარებთან რომ მივე-
დი, მე შემომხსენა კაცის ხმა, რომელიც ემს-
გავსებოდა ბარტმანის ხმას; კარები შეგნიდ-
ან იყო დაკეტილი და, როცა მრნესტინამ
გააღო, ოთახში აღარაინ არ იყო. ამ ჩვე-
ნებამ უჩვენა გამომძიებლებს ნამდვილი წყა-
რო დამნაშაობისა.— იმათი ანგარიშით ბარტ-
მანი სწორეთ იმ დროს უნდა დაბრუნებულ-
იყო პრუსსიაში; დაბრუნდებოდა თუ არა, რა-
საკვირველია, ყველაზე პირველად თავის სა-
ცოლოს ნახავდა. გამომძიებლები ფიქრობ-
დნენ— ძალიან შესაძლებელია, რომ ბარტ-
მანმა ნახა მრნესტინა იმ დღეს, როცა ბაუმ-
გარტის ქორწილი იყო დანიშნული; შესაძლე-
ბელია, რომ მამის ორგულობამ და მრნეს-
ტინას ბაუმგარტის შერთვაზე (თუმც ძალა-
დატანებით) ნების დართვამ, ისე გაანხილა ის
და ისეთ მდგომარეობამდ მიიყვანა, რომ იმას,
ამ პირველ სიგიჟის დროს, მოუვიდა აზრში
მტრებისთვის შური მიეგო რომ იმას წაართ-
ვეს ქალი, რომელიც კანონით ეკუთვნოდა.—

რადგანაც ყველამ იცოდა, რომ მეწვერიმა-
ლე ბოლლი იყო კარგი ამხანაგი ბარტმანი-
სა და რადგანაც იმას უნდა სცოდნებოდა—
მოვიდა ის, თუ არა, ამისთვის გამომძიებლე-
ბი წავიდნენ ბოლლთან საკითხავად და იმის
დუქნის გასაჩხრეკად.—

წარმოიდგინეთ, როგორ გაუხარდათ გამო-
მძიებლებს, როდესაც შევიდნენ თუ არა ბოლ-
ლის დუქანში, იქ დახვდათ ბარტმანი, რომე-
ლიც ძლიერ მშვიდობიანათ რაღაზნედაც მუ-
საიფობდა ბოლლთან. ის იმ წამსვე დაატუ-
სალეს და წაიყვანეს მძოვრის საჩვენებლად.—

დამახინჯებული, დასახინჩრებული მძოვრის
შებნდვამ ძალიან გააოცა ბარტმანი; პირვე-
ლად ის დარწმუნებით ამბობდა, რომ მძოვ-
რი მრნესტინა არისო; მაგრამ კარგად რომ და-
აკვირდა სთქვა, რომ ეს მძოვრი მრნესტინა-
სი არ არისო და არც ვიცი-ვინ არისო.— დიდ-
ხანს არწმუნებდნენ იმას გამომძიებლები, რომ
ნუ ფარისევლოფო, თვითონ მამამ იცნო მძო-
ვრში მრნესტინაო და სხვ. ბარტმანმა არ
შესცვალა თავისი აზრი.— გამომძიებლების კი-
თხეაზე— სად იყო ის მკვლელობა რომ მოხდა
იმ დროს და ნახა თუ არა თავის საცო-
ლო,— ბარტმანმა უჩვენა შემდეგი:

„დაბრუნდი თუ არა მოგზაურობიდან, მე
ყველაზე უწინ წავედი დედაჩემთან; იმან მა-

ცნობა, რომ შენს საცოლოს ბაუმგარტს აძ-
ლევენო; იმ წამსვე წამოვედი აქ მლტენში
და საღამომდი კიდევ მოვედი; აქაური ადგი-
ლები კარგათ ვიცოდი. მე დავინახე სინათ-
ლე მრნესტინას ფანჯარაში და პირ და პირ
მივადექი იმას; მრნესტინა მარტოკა იყო თა-
ვის ოთახში. იმან მითხრა ის ამბავი, რომ ბა-
უმგარტს ძალა-დატანების გამო მიჰყვება. მე
იმას უთხარი რომ, თუ გინდა, მე მოველაპა-
რაკები მამაშენსა მეთქი, მაგრამ ამ დროს
მოვიდა ბიჭი, რომელიც უძახოდა მრნესტი-
ნას ზალაში; შემდეგ თვითონ ბორსტიც შე-
მოვიდა. შემოვსმა თუ არა მამის ფეხის ხმა,
მრნესტინამ მთხოვა მე დამალულიყავი, რომ
დავიდარაბა არ შეძღვარიყო; მეც გაუგონე
და დავიძალე; შემდეგ მრნესტინა გავსდა და
მე მარტო დავრჩი ოთახში. რამდენიმე მინუ-
ტის შემდეგ ბაღში ფეხის ხმა მომესმა; გავი-
ხედე ფანჯარაში და მრნესტინა დავინახე.—
მეც ბაღში გავიქეცი, მაგრამ ვერ დავეწიე
მრნესტინას; მარტო თვალი მოგვარ, რომ
ტყისაკენ მივბოდა: დავექეცი წისქვილთან და
უცდიდი იმის მობრუნებას. მხედვედი, რომ
ეძებდნენ მრნესტინას და რომ უიმისოდ დაბ-
რუნდნენ; შემდეგ წავედი ბოლლთან და უამ-
ბე იმას ეს ყველაფერი.—

გამომძიებლებს არ სჯეროდათ ამ ჩვენების
სიმართლე; ბარტმანის მკვლელობის დროს იქ
დასწრობა, იმის უარ ყოფა, რომ მძოვრი ჰგავს
მრნესტინას, მაშინ როდესაც ამას ყველა ამ-
ტკიცებდა და სხვები ბევრი ნიშნები არწმუ-
ნებდა პროკურორს, რომ მკვლელი ბარტმანი
უნდა იყოსო; ის მისცეს სამართალში.—

სასამართლოს სხდომაში პირველად ბრალ-
სადებელი აქტი წაიკითხეს; ამაში დაწვრილე-
ბით იყო მოხსენებული ამ საქმის გარემოე-
ბები, აწერილი იყო ადგილი, სადაც მოხდა
მკვლელობა და სადაც მძოვრი ნახეს, კეტი,
რომლითაც მოკლულია მკვლარი; შემდგომ
დარწმუნებით ამბობდა აქტში პროკურორი,
რომ მძოვრი მრნესტინას გავსო და იმის მო-
კვლაში ბარტმანის მეტი არაინ არის ბრა-
ლეულიო; პროკურორი ამტკიცებდა, რომ
ბარტმანის მეტი ვერაინ ისარგებლებდა მრ-
ნესტინას სიკვდილით, რომ მისი წინანდელი
ცხოვრება და ხასიათები გვიმტკიცებენ ჩვენ,
რომ იმას შეეძლო ამისთანა დამნაშაობის მო-
ხდენა; ამ აზრის დასამტკიცებლად ბრალსა-
დებელ აქტში აწერილი იყო მისი წინანდე-

ლი ცხოვრება; ის იყო გამოყვანილი როგორ-
ც ერთი ჩხუბის მოყვარე, ამაყი და პატივისა-
და ფულის მოყვარე კაცი; მრნესტინას დალა-
ტობა დააკარგინებდა მას, ბრალ-სადებელი
აქტის სიტყვით, კარგი მზითვის მოპოვების იმე-
დსა; ეს, რასაკვირველია, გამოიყვანდა იმას
მოთმინებისაგან და მკვლელობამდ მიაწვეი-
ნებდა.— შესაძლებელია, ამბობს პროკურორი,
რომ გარტმანი ქორწილის წინეთ შევიდა პა-
ტარძლის ოთახში და გაქცევას ურჩევდა; ისი-
ნი გაიქცნენ ტყეში, მაგრამ იქ მრნესტინამ,
სჩანს, ნანობა დაიწყო და ისევ შინ დაბრუ-
ნება მოინდომა. მაშინ ბარტმანი გამოვიდა
მოთმინებისაგან, და მოჰკლა იმ კეტით, რომ-
ელიც მძოვრთან ნახეს. მერე დამნაშაობის
კვალის დასამალავად იმან დაუმახინჯა მკე-
დარს სახე, რომ არაინ იცნოს და ეხლა,
როგორც აშკარა ავაზაკი, ამბობს, რომ მძოვ-
რი მრნესტინას არა ჰგავსო.— ბოლოს ბრალ-
სადებელი აქტი ამბობს, რომ გარტმანი წი-
ნეთ განსაზრული მკვლელობისათვის უნდა
მიეცეს სისხლის სამართალსაო.—

ამ აქტის წაკითხვის შემდეგ სასამართლომ
მიჰყო ხელი ქმრების კითხვას. პირველად
თითონ დამნაშავეს ჰკითხეს; იმან გაიმეორა
გამოუცვლელად თავის ძველი ჩვენება, რომ-
ელიც ჩვენ ზევით მოვიყვანეთ. შემდეგ ჰკი-
თხეს მამას, რომელიმაც მოჰყვა დაწვრილებით
ამ საქმის გარემოება. მართმა წისქვილის მუ-
შამ აჩვენა, რომ იმ საღამოს, როცა მკვლე-
ლობა მოხდა, იმან დაინახა ერთი კაცი, რომ-
ელიც ბორსტის სახლთან მიდიოდაო და თუ-
მცა გვარიანად ბნელოდა, მაგრამ ის კაცი
მაინც ბარტმანად ვიცანიო; მოწამემ ნახა, რომ
ბარტმანმა გაიარა იმ ადგილისაკენ, სადაც სა-
რები ეწყო, მაგრამ აიღო თუ არა სარი, ის
კი არ შეუნიშნავს. სხვა ორმა მუშამ აჩვენეს,
რომ ის სარი, რომლითაც მოკლულია მრნეს-
ტინა, არის ადებული იმ სარებიდან, რომელ-
ნიც აუზთან აწყვიტაო. შანდარმებმა, რომელ-
თაც დაატუსალეს ბარტმანი, სთქვეს რომ ის
ძალიან მშვიდობიანად არისო; მაგრამ, როდეს-
აც ის მივიყვანეთ მძოვრთან, მაშინ პირვე-
ლად შეეცვალა სახეო, შემდგომ კი დაიკავა
თავი და ისევ გულგრილად დააკვირდაო.—

წაკითხეს იმ სასწავლებლების მოწმობაე-
ბი, სადაც ბარტმანს უსწავლია; ყველაში ეწე-
რა, რომ ბარტმანი საშინელი ჩხუბის მოყვა-
რე, ამაყი და პატივ მოყვარე ყმაწვილი კა-



იაო. უნივერსიტეტში რამდენჯერმე ღუელე-
ნი გაუმართავს იმას.—

ბარტმანის წინააღმდეგ მოჰყავდათ კიდევ
ის გარემოება, რომ 8 საათიდან 10-მდე, ე. ი.
ამ დროს როცა მკვლელობა მოჰხდა, ის არა-
ვის არ უნახავს, და თავის ჩვენებას, რომ ამ
დროს ბაღში ვიყავიო, ის ვერაფრით ვერ ამ-
ტყობდა. ბარტმანის დედამ აჩვენა, რომ
მარტინესათვის გათხოვების ამბავს ძალიან დიდი
გაგონება ჰქონდაო იმაზე; ეს რო უთხარი,
იმას გამოეცვალა სახე და რამდენსამე მინუ-
ტის განმავლობაში ხმა ვეღარ ამოიღო. შე-
მდეგ შეაკმაზინა ცხენი და თუმც ის იყო და-
მდებოდა, მაგრამ შინიღვან მინც წაიღა სა-
დღაცა; სად წაიღა, ის კი არ უთქვამს დედი-
სათვის.—

შემდეგომ პროკურორისა და დამცველის
შუა ბაასი გაიმართა. პროკურორი ფიცხათ
ლაპარაკობდა ბარტმანის ბრალეულობაზე
და თავის გრძელი სიტყვა გაათავა იმითი,
რომ ნაფიცებს მიმართა და არწმუნებდა, რომ
არც ერთი წამი არ ეხმარათ ყოყმანებაზე და
ბრალდებულის დასჯისათვის; მცველი ძალი-
ან სუსტათ ამტკიცებდა ბარტმანის უბრალო-
ებას. ბადაწყვეტილ უარს არცკი ამტკიცებდა
მკვლელობის ჰაზრსა; ის მართო ცდილობდა
დამტკიცებინა, რომ ბარტმანს მარტინესა
თუნდა მოეკლას კიდევცაო, ეს დიდის სიანჩხ-
ლისაგანა და გულზე მოსვლისაგან მოსვლიაო.

ნაფიცებს დიდხანს არა ჰქონდათ რჩევა. სა-
სამართლო სასხდომს ზალაში დაბრუნდნენ და
ბარტმანი ბრალეულათ აღიარეს. მოსამართ-
ლები ის ის იყო შეუდგნენ გადაწყვეტი-
ლობის შედგენასა, რომ უეცრათ ბორსტმა
წიგნი მიიღო, საჩქაროთ გადაიკითხა და თავ-
მჯდომარეს გადასცა. თამჯდომარემ გამოარ-
თვა, თავისთვის წაიკითხა და მერე მაღალის
ხმით გამოაცხადა შემდეგი: ქალი, რომელიც
ყველას მკვდრათ ეგონა, იმ ქალის მამამ წი-
გნი მიიღო, რომ ქალი ცოცხალია; ამ ხანო-
ბაში შრანციაში იმალება თურმე ერთ მიყ-
რუებულ სახლში, არდენის მთებში; რაკი შე-
უტყვიან, რომ მკვდარი ეგონიერო, საჩქაროთ
თავისი სიცოცხლისა და კარგამყოფობისა ამ-
ბავი მოუწერია.—მაგრამ ამ მოულოდნელმა
გარემოებამ არ უნდა შეაშფოთოს ნაფიცნი;
ისინი მოქმედებდნენ სვინილისიანათ. სასამარ-
თლომა და ბრალის მდებელმა თავისი ვალ-
დებულება ასრულეს. იქნება საჭირო ყოფი-

ლიყო იმათი გადაწყვეტილობის მოშლა. მა-
გრამ გადაწყვეტილობის გაუქმება კანონით
შეიძლება იმ დრომდის, ვიდრე არ გამოცხა-
დებია ბრალდებულსა. მაგრამ გადაწყვეტილო-
ბა ნაფიცთა გამოცხადებულთა ბრალდებულთა-
სათვის და ამისთვის უნდა დარჩეს ყოველისა-
ვე თავის ძალითა.

ამას შემდეგ როგორც რიგია სასამართ-
ლომ განჩინება შეადგინა ნაფიცთა გარდა-
წყვეტილობისა საფუძვლით და კანონის ნამ-
დვილის ჰაზრისამებრ, რომ ბარტმანი სიკე-
დლით დაისაჯოს.

ბარტმანს მინც კი აპატიეს და მალე კი-
დეც მარტინესა შეირთო. სიმამრის სიკვდი-
ლის შემდეგ ის წისქვილის სრული პატრონი
შეიქმნა.

ამ საშინელ საქმეში გარეული მეორე პი-
რი-ბაუმგარტი ეხლაც ბედნიერათა სცხოვ-
რობს და სასამართლო ნაწილში დიდ ადგი-
ლებს მიაღწია.

საქმიანო ცნობები.

ს ი ბ ე ლ ა ტ ი ს წ ა მ ლ ო ბ ა.

თუ სიბელატე არ არის შედეგი სხვა და
სხვა ცხოველებისაგან, რომლებიც უწმინდუ-
რობისა გამო ბუდობენ კაცის თავში და ან
რომელიმე ცუდი ავათმყოფობისაგან, მაშინ
აი რა საშუალებას ხმარობს დოქტორი ბარ-
დი თმის ამოსაყვანად; მრავალმა მაგალითებ-
მა დაამტკიცა, რომ ეს საშუალება ძალიან
უხდებათ ხოლმე იმისთანა ბელატებს, რო-
მელთაც ჩამოცვენიათ თმა დიდი ხნის მძიმე
ავათმყოფობისა გამო.

უნდა შეზილოთ ერთად ხარის ძვლის ტვი-
ნი — — — — — 16 მისხალი.
მწაფის ზეთი (კასტოროვოე მასლო) 6 — —
ბუნდა — — — — — 1/2 — —
და ვარდის ზეთი — — — 5-10 წვეთი;
სოტა მ-დე-ძოლონიც რო გაურიოთ კარგი
იქნება.

შველა ამავს რო შერევთ ერთად, გაკეთ-
დება პომადა და ეს პომადა უნდა წაიციხოთ
ხოლმე თავზე დღეში ერთხელ.—

ძალის გასოფიანების მიზეზი.

დღემდი ამბობდნენ, რომ ძალის გაცოფი-
ანების მიზეზი არისო: მომეტებული სიცხე, ან
მომეტებული სიცივე და ან ის, რომ მამალ-

სა და ძუკნა ძალს ერთმანეთთან ერთმანეთთან
შეებენ; ეხლა დოქტორი ბაზელტუბე წყურს თქვა
რომ არ არის დამტკიცებული, რომ მართლა
ამ მიზეზებისა გამო ცოფდებოდეს ძალებიო;
შენიშნულიაო, რომ ზოგ წელიწადებში უფ-
რო ხშირად ცოფდებიან ძალები და ზოგ-
ში კი იშვიათად; აქედან სჩანს, რომ ნამდვი-
ლი მიზეზი ცოფიანობისა ჩვენ ჯერ ბეჯითად
არ ვიცით.—

მხოლოდ ის არის შენიშნული, რომ ყვე-
ლაზე უფრო ხშირად ცოფდებიან ის ძალები,
რომლებიც ჯაჭვით არიან დაბმულნი და
რომელთაც ყურს არ უფდებენ, ესე იგი, არ
აქმევენ ხეირიანად და არ ასმევენ; ძალები,
რომლებსაც საკმაროთ აქეთ ხორცის საქმე-
ლი, უფრო იშვიათად ცოფდებიან თავისით
(თუ სხვა ცოფიანმა ცხოველმა არ უკბინა),
ვიდრე ისინი, რომლებსაც მცენაროვან საქ-
მელებს აქმევენ, მაგალითად მარტო პურს,
ჭადს, ღომს და სხვა ამისთანებს.—მისაც ძა-
ლები ჰყავს, უნდა ცდილობდეს, რომ ყო-
ველთვის საკმაროდ ქონდეს იმათ ხორცის სა-
ქმელი და წყალი წყურვილის მოსასპობლად.
ჯაჭვზე დაბმულ ძალებს რო მომეტებულ
ყურადღებას მიაქცევდნენ, ძალიან კარგი იქ-
ნება; ხანდისხან ეს საცოდავები მთელი დღე
საშინელი სიცხის, ან სიცივის დროს ნიადგ
გარეთ არიან; რა იქნება რომ ხუხულა, ან
პატარა საძალე ქონი დაუდგან იქვე; ამით
შეიძლება ბევრი უბედურობა აიშოროს კაცმა.

ძალის შესახებ ახალი ამბები.

პრუსიის სატახტო ქალაქში—ბერლინში
წელს იანვარში დაარსდა ქალებისათვის უმა-
ღლესი სასწავლებელი, რომელსაც ჰქვია სა-
ხელად „მიქტორიას ლიცეი“. ამ სასწა-
ვლებელის მიზანი ის არის, რომ მისცეს იმ ახალ-
გაზდა ქალებს, რომელთაც დაუსრულებიათ
საშუალო სასწავლებლებში (გიმნაზიებში) სწა-
ვლა, ღონისძიება განათლების გაგრძელებ-
ისა; ლიცეიაში განსაკუთრებითი ყურადღება
აქვს მიქცეული—ბუნებითი საგნების სწავ-
ლას, საზოგადო ისტორიას, ხელოვნობის ის-
ტორიას და აგრეთვე სხვა და სხვა ერის ლი-
ტერატურის გაცნობას. სწავლა იმ რიგათაა,
როგორც უნივერსიტეტებში და გრძელდება
წელიწადში შეიდ თვეს. ამ ლიცეიაში ლექ-
ციების სმენის მსურველნი იანვარშივე 180
ქალამდი იყო.—ლიცეია გაიხსნა 14 იანვარს



პრუსიის ტახტის მემკვიდრეს მეუღლის, (რომელიც ამ სასწავლებლის მფარველია) და აუარებელი ქალებისა და კაცების დასწრებით. ზახნის დროს პროფესორმა ბონიცმა სთქვა სიტყვა, რომელშიაც აუხსნა პუბლიკას, რომ დღეს გახსნილი ლიცეის მიზანი ის არის, რომ თავის სიტყვით და სწავლით მოეხმაროს ქალების ჭკუის და გონებითი გახსნის ამალღებას. „საკმარო არ არის მარტო ის, სთქვა პროფესორმა, რომ ჩვენი ქალები გაკვირვებით შესცქერაინ ბუნებითი საგნების წარმატებას და მსუბუქად სწავლობენ თავის და სხვა ერების ლიტერატურას; საკმარო არ არის მარტო ის, რომ ჩვენ ქალებს აქვს მცირედი მონაწილეობა თავის სამშობლო ქვეყნის ყოფა-ცხოვრებაში და სევეში; აუცილებლად საჭიროა, რომ ქალებმაც ისე, როგორც კაცებმა, მიიღონ ყველა ამებში ფიცხელი მონაწილეობა და ენერგიულად მოჰკიდონ ხელი ამისთანა საერო და სასარგებლო საქმეებს.—დღეს გახსნილი სასწავლებლის დანიშნულებაც ის არის, რომ აღანთოს ეს ენერგია და ეს კეთილი მიღრეკილებანი ქალის ჭკუაშია.“ —

რუსეთში მედინის უეზღში ერთმა გლეხის დედა-კაცმა პრუსკოვია მიხაილოვისამ შობა ამ წლის 4 მარტს ერთად ოთხი ბავში, სამი ვაჟი და ერთი ქალი; გაზეთებში სწერენ, რომ ჯერ ყველა ისინი ცოცხალნი არიან.—

დედაკაცები — ჩინოვნიკები ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მას აქეთ რაც პრეზიდენტმა დაიწყო ქალების მიღება სახელმწიფო სამსახურში, ისინიც ისე გულს მოდგინედ დაეძებენ სამსახურს, როგორც კაცები. ნიუ-იორკის დამოქნაში არის დაწესებული ოთხი ადგილი ქალებისათვის 1,200 მან. ჯაბაგირით; ამ დედაკაცების თანამდებობა იმაში მდგომარეობს, რომ იმათ უნდა გაჩხრიკონ სამზღვარ გარეთიდგან შემომსვლელი დედაკაცები, რომ კონტრაბანდა არ შემოაპარონ. თუმცა ეს თანამდებობა მაგდენათ სახარბიელო და პატიესაცემი არ არის, მაგრამ მაინც 700-ზე მეტი დედაკაცი ცდილობს იმის შოვნას.

სტატისტიკური ცნობები.

ძალების რიცხვი მთელს დედა-მიწაზედ მიადწევს ეხლა ერთ მილიარდამდი (მილიონჯერ მილიონი); ისინი ლაპარაკობენ 3,064 სხვა და სხვა ენაზედ. დედა-მიწაზე სცხოვრობს 1,000 სხვა და სხვა სარწმუნოებების, სჯულის კაცი.—საშუალ რიცხვით თითო კაცი სძლებს 33 წელიწადს და ექვს თვეს. მეოთხედი ნაწილი ყმაწვილებისა კვდება სანამ შეიდი წლის შეიქმნებოდეს; ნახევარი ნაწილი კვდება სანამ 17 წლის შეიქმნებოდეს. ასი კაციდან მარტო ექვსი მიადწევს ხოლმე 60 წლამდი; ხუთასიდან ერთი მიადწევს 80 წლამდი და ათასიდან ერთი ასს წლამდი.—ჰოველს წელიწადში კვდება საშუალო რიცხვით 330 მილიონი კაცი, ესე იგი, დღეში 91,000, საათში 3,730, მინუტში 60 და წამში 1 კაცი აკლდება ქვეყანას. ჰოველს წელიწადს იბადება 412 1/2 მილიონი კაცი; ესე იგი ყოველს წელიწადს 82 1/2 მილიონი კაცი მოემატებოდა დედა-მიწას, ჩხუბები რომ არ სწყვეტდეს ხალხს.—ძაცი იბადება და კვდება უფრო ხშირად დამე.—ას ოცს კაცში ყოველ წელიწადს ერთი კაცი ცოლს ირთავს, ან ერთი ქალი ქმარს მიჰყვება, ასე რომ მთელს დედამიწაზე საშუალ რიცხვით წელიწადში 83 მილიონი ქორწილი მოხდება ხოლმე.—

ანგლიაში სიმთვრალისაგან ყოველს წელიწადს 50 ათასი კაცი კვდება ხოლმე; იმათ რიცხვში 12 ათასი ქალია. ბერმანიაში სიმთვრალისაგან კვდება 40 ათასი, რუსეთში 10 ათასი, ბელგიაში 4 ათ. და შრანციაში 1,500 კაცი. ჰველა ხალხზე მომეტებულს არაყს ამერიკაში სმენ; დოქტორი მეერესტის გამოანგარიშებით ამერიკის შეერთებულ შტატებში 300 ათასი კაცი მოკვდა სიმთვრალისაგან 8 წლის განმავლობაში.—თითქმის ისიც არის გამოანგარიშებული-რამდენი სასაქმებელი წამალი იხარჯება პარიჟში. ერთმა პარიჟელმა აფთიექარმა გამოიანგარიშა, რომ 760 აფთიექიდან, რომელიც არის პარიჟში, ყოველ დღე ყოველი აფთიექიდან ათი შუშა სასაქმებელი გამოაქეთ; მაშასადამე ფრანციის სატახტო ქალაქში ყოველ დღე 7 ათასს კაცს სჯირდება სასაქმებელი ავათმყოფისა გამო.—

მ ე ნ ა მ ე რ ი კ ა ნ ე ლ ი
(უძღენი თ. ა. შ.)

მხედვე დღე მიდის და დაჰკრეს ზარა,
დიდი ხანა მზემც გადისარა;
ბამოცვალა მსწრაფლად ჰაერი,
ღრუბელმაც ღრუბელს გარდაუარა.

დაჰქრის ნიავი,
მიფრინავს ნავი
და ზღვის სივრცეში
მივეცი თავი.

ჯერ გზა არა მაქვს გათავებული,
და მისთვის მივალ გაჩქარებული;
ჩემთვის ერთია თოვლი და წვიმა,
თუგინდ ზღვა იყოს აღელვებული.

მივსცემ ნიავსა
პატარა ნავსა
და მხნეთ გავეცურავ
მავნება ზღვასა.

რას მიზამს დღევა და ქარიშხალი,
თუ აღვასრულე მე ჩემი ვალი,
მერ შემოვინებს შუთთავარ ზვირთი....
და გავიბნენ მე გზა უვალი.

აუ მე ნიავსა
მანებებ თავსა
და დავაყენებ
პაწაწა ნავსა.

შენი ჩანგიც ხომ, ძმაო, ტრიალებს,
მაგრამ ნავე ვერას დააკლებს
და მოძმებთ შორის დაუვიწყარი,
იცოდე რომა ყოველთვის გახსლებს....

და ნეტავ იმას,
მინც უძღლებს ნიავს
და აღასრულებს
დანიშნულებას!

1869 წელსა 2-მაისსა.
მუთაისი

განცხადება

იხეჭდება და იენისის დასასრულს გამოვა

ქართული
ანბანი

და პირველი საკითხავი წიგნი

უ. ი. ზოგებაშვილისა.

(მეოთხე გამოცემა)